# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№136 2018 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

## საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის 2017 წლის 29 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს

1.39 თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 996 747 (ერთი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №39-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.40 მარნეულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 352 616 (ორი მილიონ სამას ორმოცდათორმეტი ათას ექვსას თექვსმეტი) ლარისა, დანართ №40-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.41 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 8 597 494 (რვა მილიონ ხუთას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ოთხას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №41-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.42 გორის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 115 830 (ოთხი მილიონ ას თხუთმეტი ათას რვაას ოცდაათი) ლარისა, დანართ №42-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.43 კასპის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 388 026 (ორი მილიონ სამას ოთხმოცდარვა ათას ოცდაექვსი) ლარისა, დანართ №43-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.44 ქარელის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 811 902 (ოთხი მილიონ რვაას თერთმეტი ათას ცხრაას ორი) ლარისა, დანართ №44-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.45 ხაშურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 185 226 (სამი მილიონ ას ოთხმოცდახუთი ათას ორას ოცდაექვსი) ლარისა, დანართ №45-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ამავე განკარგულების დანართებით გათვალისწინებული პროექტების თანადაფინანსებისათვის შესაბამისი სახსრების კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინება შესაბამისი მუნიციპალიტეტ(ებ)ის ბიუჯეტ(ებ)ში, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18

მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების $3^1$ მუხლის შესაბამისად.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

*დანართი N41*

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

| N | დასახელება | პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები | პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა |
|---|---|---|---|
| 1 | მშვიდობის ქუჩის ა/ბეტონის რეაბილიტაცია | 1,600,000.0 | 1,392,000.0 |
| 2 | ქალაქ რუსთავში მარჯვენა სანაპიროს გზების და ეზოების საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე სისტემების მოწყობა | 1,330,323.0 | 1,157,381.0 |
| 3 | ქალაქ რუსთავში მარცხენა სანაპიროს გზების და ეზოების საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე სისტემების მოწყობა | 2,560,357.0 | 2,227,511.0 |
| 4 | ქ. რუსთავში ბალანჩივაძის ქუჩის მ/ტ (ბალანჩივაძის N2,3,4,5,6,7,10,12,14,, ბალანჩივაძის გასავლელი N4,6,8,10,N9 სკოლის წინ) საცხოვრებელი კორპუსების ეზოების ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე ქსელის მოწყობა | 1,055,131.0 | 917,964.0 |
| 5 | ქ. რუსთავში ნ.ნიკოლაძის ქუჩის მ/ტ (ნ.ნიკოლაძის N3,5,7,9,6ა, რუსთაველის 39) საცხოვრებელი კორპუსების ეზოების ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია და სანიაღვრე ქსელის მოწყობა | 624,851.0 | 543,620.0 |
| 6 | გორის ქუჩა ჩიხების,ვაჟა-ფშაველას ქუჩა ჩიხების,ყაზბეგის ქუჩა ჩიხების, ვახუშტის ქუჩის და იალღუჯის ქუჩის რეაბილიტაცია | 1,656,004.0 | 1,440,723.0 |
| 7 | ქალაქ რუსთავში მე-11 მიკრორაიონში სოციალური საცხოვრისის მოწყობა | 1,055,512.0 | 918,295.0 |
| | **სულ ჯამი** | **9,882,178.0** | **8,597,494.0** |